ამ მეჩეთებში ასეთი რამეები, როგორიცაა შარდვა და დაბინძურება, არ არის დასაშვები. ისინი მხოლოდ დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის მოხსენიებისთვის, ლოცვის შესრულებისთვის და ყურანის წაკითხვისთვისაა

ანას იბნ მაალიქმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: «ერთხელ, ჩვენ ალლაჰის შუამავლთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მეჩეთში ვიყავით, როცა მოვიდა არაბი ბედუინი და მეჩეთში შარდვა დაიწყო, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბებმა თქვეს: "გაჩერდი, შეწყვიტე!" ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანა: «არ შეაწყვეტინოთ ხელი, დატოვეთ». მათ ის გააჩერეს, სანამ შარდვა დაასრულა. შემდეგ შუამავალმა ის თავისთან მოიხმო და უთხრა: «ამ მეჩეთებში ასეთი რამეები, როგორიცაა შარდვა და დაბინძურება, არ არის დასაშვები. ისინი მხოლოდ დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის მოხსენიებისთვის, ლოცვის შესრულებისთვის და ყურანის წაკითხვისთვისაა», შემდეგ მან ერთ კაცს უბრძანა, რომ მოეტანა ვედროთი წყალი, და იმ ადგილას გადაასხა.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის მეჩეთში იმყოფებოდა საჰაბებთან ერთად, როცა ბედუინი არაბი უდაბნოდან მოვიდა და მეჩეთის ერთ კუთხეში დაჯდა შარდვისთვის. საჰაბებმა იგი დატუქსეს და უთხრეს: შეწყვიტე და შეჩერდი! შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: დატოვეთ იგი და არ შეაწყვეტინოთ შარდვა. მათ არ შეაწყვეტინეს, სანამ არ დაასრულა. შემდეგ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაუძახა მას და უთხრა: მეჩეთები არ არის განკუთვნილი ასეთი რამეებისთვის, როგორიცაა შარდვა ან სხვა სახის სიბინძურე. ისინი დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის მოხსენიებისთვის, ლოცვის, ყურანის წაკითხვისა და მსგავსი კეთილი საქმეებისთვისაა. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი საჰაბებიდან ერთს უბრძანა, რომ მოეტანა წყლით სავსე ვედრო, და მარტივად გადაასხა იგი შარდის ადგილას.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/8948